

პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის შეხვედრის  
ოქმი: 6

---

პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის შეხვედრა გაიმართა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში 2016 წლის 7 ნოემბერს, 15:00 სთ.

**ამოცანა:**

გარდამავალი გეგმის სამუშაო ვერსიის წარდგენა

**ესწრებოდნენ:**

ნინო ბერძული - პოლიტიკის და ადვოკატირების კომიტეტის თავმჯდომარე, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე

თამარ გაბუნია - ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ნატალია ზაქარეიშვილი – გაეროს მოსახლეობის ფონდი, პროგრამის ანალიტიკოსი

ხათუნა თოდაძე - “ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის” მ.ასათიანის სახელობის სამეცნიერო საბჭოს ნარკოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, გლობალური ფონდის მჩთ პროგრამის დირექტორი

თამარ ქაშიბაძე - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტი, სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

თამარ ბორცვაძე – MdM

ირმა ხონელიძე – დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე

ირაკლი კაციტაძე - გაეროს პროექტების მომსახურების ოფისი, ადგილობრივი ფინანსური აგენტი

გიორგი კუჭუხიძე - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ტუბერკულოზის პროგრამის მენეჯერი

ალექსანდრე ასათიანი - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, აივ პროგრამის მონიტორინგის და შეფასების ოფიცერი

ქეთევან სტვილია - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, აივ პროგრამის მენეჯერი

ეკატერინე რუაძე - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, აივ პროგრამის მონიტორინგის და შეფასების ოფიცერი

აკაკი ზოიძე - საერთაშორისო ფონდი კურაციო, ტექნიკური ჯგუფის ლიდერი

ქეთევან ჩხატარაშვილი – საერთაშორისო ფონდი კურაციო, პრეზიდენტი

მზია ტაბატაძე - საერთაშორისო ფონდი კურაციო, ექსპერტი აივ/შიდსის საკითხებში

ნატალია გორდეზიანი - საერთაშორისო ფონდი კურაციო, პროექტის კოორდინატორი

ირინა გრძელიძე – ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს აღმასრულებელი მდივანი

ნათია ხონელიძე – ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ადმინისტრაციული ასისტენტი

შეხვედრა გახსნა ქ-ნმა ნინო ბერძულმა, რომელიც მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო მეექვსე შეხვედრის მიზნები.

ბ-ნმა აკაკი ზოიძემ წარმოადგინა გარდამავალი გეგმის სამუშაო ვერსია. პრეზენტაცია მოიცავდა ამოცანების და კონკრეტული აქტივობების აღწერას შემდეგი მიმართულებების შესაბამისად: პოლიტიკური გარემო, ფინანსური რესურსები, ადამიანური რესურსები, საინფორმაციო სისტემები, მმართველობა, ანგარიშვალდებულება, შესყიდვების და მიწოდების ჯაჭვის მართვა, მომსახურების მიწოდება, ორგანიზაციული განვითარება და გარდამავალი პერიოდის დაგეგმვა.

ყოველი ამოცანის და შესაბამისი აქტივობების პრეზენტაციას მოჰყვა ჯგუფური დისკუსია. ქ-ნმა სტვილიამ მიუთითა გარდამავალ გეგმაში ასახული გარკვეული აქტივობების 2017 წლის ბოლომდე დასრულების აუცილებლობაზე. ბ-ნი ზოიძე დათანხმდა, რომ გეგმა უნდა გადაიხედოს 2017 წლის ბოლოსთვის და შესაძლებელია, რომ ზოგიერთი აქტივობა გამოირიცხოს, როგორც უკვე განხორციელებული.

ქ-ნი ბერძული დაინტერესდა უწყვეტი განათლების კომპონენტის განხორციელების ვადებით. ბ-ნი ზოიძის განმარტებით გეგმა მოიცავს პერიოდს 2019 წლიდან, თუმცა, მთავრობას შეუძლია გარკვეული ნაბიჯები გადადგას ამ მიმართულებით მანამდე და ამისთვის გამოყოს საბიუჯეტო სახსრები. ქ-ნმა თოდაძემ მიუთითა პროვადერებს შორის მოტივაციის ნაკლებობაზე. ქ-ნი ბერძული - ეს დიდი თემაა, რომელიც სიფრთხილეს მოითხოვს, თუმცა შესაძლებელია გარკვეული ზომების მიღება. მაგალითად, უწყვეტი განათლება შეიძლება გახდეს სანებართვო მოთხოვნების ნაწილი. ქ-ნმა ქეთი სტვილიამ შესთავაზა გლობალური ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული სასწავლო პროგრამების ფორმალიზება. ბ-ნმა ზოიძემ აღნიშნა, რომ სხვა დონორების მიერ დაფინანსებული საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობის თვალსაზრისით ანალოგიური ვითარებაა და საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და განათლების კომიტეტები აპირებენ მუშაობას ამ საკითხების დასარეგულირებლად. ფინანსური კომპონენტი გარდამავალ გეგმაში გათვალისწინებულია ფინანსური ბარიერის დასაძლევად.

ქ-ნი გაბუნია - საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია ტერმინი უწყვეტი პროფესიული განვითარება, რომელიც უფრო ფართოა, ვიდრე უწყვეტი სამედიცინო განათლება. ტუბერკულოზის პრევენციის პროექტის ფარგლებში ვიყენებდით სრულ ციკლს დაწყებული გაიდლაინის შემუშავებით, რასაც მოჰყვებოდა ტრენინგი და ადგილზე მუშაობის შეფასება. როგორც ხარისხის გაუმჯობესების სისტემის ნაწილს, მას შეიძლება ჰქონდეს შესაბამისი მუხლი ბიუჯეტში. მაგალითად, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩაიღო დაფინანსება უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის.

წარმოდგენილი გარდამავალი გეგმის პროექტი მოიცავდა ტუბერკულოზის მართვის გაიდლაინების შემუშავებას და არ ითვალისწინებდა ანალოგიურ აქტივობას აივ პროგრამისთვის, ვინაიდან ამჟამად არ არის ამის საჭიროება. თუმცა მკურნალობის

სქემების შესაძლო ცვლილების გათვალისწინებით, ქ-ნმა სტვილიამ შესთავაზა გაიდლაინების განახლება ჩაიდოს აივ პროგრამისთვისაც.

ბ-ნმა ზოიძემ აღწერა შესყიდვის სხვადასხვა ვარიანტები, როგორცაა ცენტრალიზებული გზით წამლის გლობალური დაწესებულებიდან ან ადგილობრივად. მან ყურადღება გაამახვილა, კონკურენტული ფასების და ადეკვატური ხარისხის უზრუნველყოფის აუცილებლობაზე. ქ-ნმა ბერძულმა მაგალითად მოიყვანა ბიუჯეტის თანხებით და გაეროს ბავშვთა ფონდის მექანიზმის გამოყენებით ვაქცინების შეძენის გამოცდილება. ქ-ნმა ნატალია ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რომ გაეროს მოსახლეობის ფონდმა ჩამოაყალიბა პარტნიორობა გლობალურ ფონდთან და შეუძლია დაეხმაროს ქვეყანას სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით მაღალი რისკის ჯგუფებისთვის კონდომების შეძენაში. UNFPA ჩართვა იქნება კარგი ფასის და ხარისხის გარანტია. ქ-ნმა ხონელიძემ შეშფოთება გამოთქვა ადგილობრივ ბაზარზე მედიკამენტების ხარისხის კონტროლის და საჭიროების შემთხვევაში მომწოდებლის შეცვლის სირთულის გამო, რადგან ქართული ბაზარი ძალიან მცირეა და ამდენად ნაღვებადაა საინტერესო ფარმაცევტული კომპანიებისთვის. მან ასევე აღნიშნა, რომ განფასების დროს საჭიროა ქვეყნის შიგნით მიწოდების ჯაჭვის გათვალისწინებაც, ვინაიდან ამ სისტემას ამჟამად აფინანსებს გლობალური ფონდი.

ფუნქციური ერთეულის დაარსება (გარე მონიტორინგის სისტემის და ტექნიკური კოორდინატორის) აქტიურად იქნა განხილული. ერთ-ერთი ვარიანტის სახით შემოთავაზებული იყო სტრუქტურის ჩამოყალიბება საკოორდინაციო საბჭოს ეგიდით. ბ-ნმა კაციტაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ 2019 წლამდე ამ ფუნქციის შესრულება შეუძლია ადგილობრივ ფინანსურ აგენტს (LFA), რაც უზრუნველყოფს გარე მონიტორინგს და შემდგომ ეს ფუნქცია გადაეცემა სახელმწიფოს. ქ-ნმა ჩხატარაშვილმა აღნიშნა, რომ ეს ერთეული უნდა შეიქმნას სახელმწიფო სტრუქტურაში მაღალ დონეზე, რომ მისი გადაწყვეტილებები იყოს სავალდებულო. გლობალური ფონდი მიესალმება საკოორდინაციო საბჭოს მიერ გარდამავალი გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებლობას და ზედამხედველობას. ქ-ნმა გაბუნია აღნიშნა, რომ საკოორდინაციო საბჭოს აქვს ზედამხედველობის ფუნქცია ტუბერკულოზის და აივ სფეროში მიმდინარე ნემისმიერ აქტივობებზე, თუმცა, ამ ერთეულს დასჭირდება რესურსები და ფუნქციონირების მექანიზმი, ამდენად სამინისტროში მისი დაარსება შეიძლება იყოს საუკეთესო ვარიანტი. ქ-ნი ტაბატაძე - შეიძლება დამოუკიდებელ ექსპერტთა ჩართვა, რაც უზრუნველყოფს მიუკერძოებელ მონიტორინგს. ქ-ნმა ბერძულმა შესთავაზა დეტალურად დამუშავდეს ორი ან სამი ვარიანტი და წარედგინოს საკოორდინაციო საბჭოს.

დასასრულს ქ-ნმა ბერძულმა შეაჯამა შეხვედრა და მადლობა გადაუხადა მონაწილეებს.

#### **გადაწყდა:**

ტერმინი უპგ (უწყვეტი პროფესიული განვითარება) იქნება გამოყენებული უწყვეტი სამედიცინო განათლების ნაცვლად.

გაიდაინების შემუშავება და განახლება დაემატება აივ კომპონენტს და გათვალისწინებული იქნება განფასების დროს.

შიდსით დაავადებულთა მოვლისა და მხარდაჭერის სტანდარტის შემუშავება დაემატება აივ კომპონენტს.

საინფორმაციო სისტემების ინტეგრაციასთან დაკავშირებული ტექნიკური დახმარება და ტრენინგი გავრცელდება როგორც ეპიდზედამხედველობაზე, ასევე სოციალურ სერვისებზე.

ტექნიკური გუნდი შეიმუშავებს და ქვეყნის საკოორდინაციო მექანიზმს წარუდგენს პროგრამის მმართველობის ორ ან სამ ვარიანტს.

მაკა დანელია

პოლიტიკის და ადვოკატირების სპეციალისტი

ოქმის შემდგენელი

მაკა დანელია

პოლიტიკის და ადვოკატირების სპეციალისტი